ხელშეკრულება N-05/04/22/2
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.გორი **05.04.2022**

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ილურიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „როშიკა"2002 (ს/კ:417892873)** (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბაირამოვის სახით, **გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3-ე მუხლის „ს[1]" პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულებას) შემდგომზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელსეწყობის სააგენტოს ადმინისტრაციისთვის(დანართი#1), ახალგაზრდობის და კულტურის განვითარების განყოფილებისთვის(დანართი#2) ჰიგიენის საშუალებების შესყიდვა. იხილეთ CPV-კოდების დეტალური ჩამონათვალი დანართ №1-ში და დანართ №2-ში, რომელებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილს.

1.2.კლასიფიკატორის კოდებია: ***CPV-18400000,19500000,19600000,24900000,33700000,39200000, 39500000, 39800000.***

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს-**408.00 (ოთხასრვა)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2 დაფინანსების წყარო: 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება: **2022 წლის 8 აპრილამდე.**

4.2 საქონლის მიწოდების ადგილი **ქ. გორი, ჭავჭავაძის #85**

4.3.შესყიდვის საფუძველი : მოხსენებითი ბარათი №162,164.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სააგენტოს მატერიალურ ტექნიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი ქარელი

5.2 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

6.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.4 მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურისა ან ზედნადების საფუძველზე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2 შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული

პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
7.4.მიმწოდებელს უფლება აქვს :მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.5.მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02 %** ის ოდენობით.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დამოწმების /დაადასტურებს მას ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით და მოქმედებს ორი თვის განმავლობაში.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11 ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4. ხელშეკრულების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირია- სააგენტოს შესყიდვების მენეჯერი მარინა მთიულიშვილი

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 2019 წლის 1 იანვრიდან, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა	შპს ,,როშიკა 2002“
და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო	ს/კ:417892873
მის: ქ, გორი, სტალის №16	მის: ქ.გორი, ჭავჭავაძის# 85
	ბანკი: სს ,, თიბისი ბანკი”
ს/კ:418471031	ბანკის კოდი: TBCBGE22
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბ/ნ: TRESGE22	ა/ა: GE02TB7708636020100004 ტელ:599077361,599617173
საზაზინო ანგარიში: 3504100000	
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი: გიორგი ბაირამოვი

ზურაბ ილურიძე

Zurab Iluridze

Digitally signed by Zurab Iluridze
Date: 2022.04.05 11:32:56 +04'00'

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი:05.04.2022წელი
მიმწოდებელი: შპს ,,როშიკა 2002“ (ს/კ:417892873)

ხელშეკრულება: N-05/04/22/2

იტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების“ **მე-8 მუხლის ,,ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითრების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ:418471031)** თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი : ზურაბ ილურიძე

Zurab Iluridze
Digitally signed by Zurab Iluridze
Date: 2022.04.05 11:33:29 +04'00'

შესყიდვების მენეჯერი : მარინა მთიულიშვილი

Marine Mtiulishvili
Digitally signed by Marine Mtiulishvili
Date: 2022.04.05 11:35:39 +04'00'

დანართი #1 (სააგენტოს ადმინისტრაციისთვის)

CPV-კოდი	დანიშნულება	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
19640000	ნაგვის პარკი 120	5	8	40,00
39525800	მინის ტილო	10	3,5	35,00
39224200	უხეში ჩოთქი	2	10	20,00
39224300	მინის საწმენდი ჯოხი	2	25	50,00
39525800	იატაკის ტილო	2	7	14,00
39830000	მინის სითხე	3	7	21,00
39830000	მინის სითხე	4	5	20,00
			ჯამი	200,00

CPV-19600000-40.00(ორმოცი)ლარი
CPV-39200000-70.00(სამოცდაათი)ლარი
CPV-39500000-49.00(ორმოცდაცხრა)ლარი
CPV-39800000-41.00(ორმოცდაერთი)ლარი

შემსყიდველი

_____

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა
და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო
მის: ქ, გორი, სტალის №16

ს/კ:418471031
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბ/ნ: TRESGE22
საზაზინო ანგარიში: 3504100000
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ზურაბ ილურიძე

Zurab Iluridze
Digitally signed by Zurab Iluridze
Date: 2022.04.05 11:34:01 +04'00'

მიმწოდებელი

_____

შპს „როშიკა 2002“
ს/კ:417892873
მის: ქ.გორი, ჭავჭავაძის# 85
ბანკი: სს „ თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE02TB7708636020100004
ტელ:599077361,599617173

დირექტორი: გიორგი ბაირამოვი

დანართი#2 (ახალგაზრდობის და კულტურის განვითარების განყოფილებისთვის)

CPV-კოდი	დანიშნულება	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
33711900	თხ.საპონი	5	4	20,00
39831600	დომესტოსი 1ლტ	5	6	30,00
18424300	ხელთათმანი	2	4	8,00
39224330	იატაკის ტილო	4	7	28,00
39811100	აეროზოლი	3	3,5	10,50
19520000	საკიდი 10ც	6	10	60,00
39221250	ჩაფი (წყლის გრაფინი)	2	10	20,00
39832000	აოსის ჟელე	1	3,5	3,50
24911200	წებო თაგვის	8	2	16,00
33711430	სვ,სალფეტკი	1	5,5	5,50
39525600	ღრუბელი	1	3	3,00
19640000	ნაგვის პარკი	1	3,5	3,50
	სულ			208,00

CPV-18400000-8.00(რვა)ლარი
CPV-19500000-60.00(სამოცი)ლარი
CPV-19600000-3.50(სამი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)ლარი
CPV-24900000-16.00(თექვსმეტი)ლარი
CPV-33700000-25.50(ოცდახუთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)ლარი
CPV-39200000-48.00(ორმოცდარვა)ლარი
CPV-39500000-3.00(სამი)ლარი
CPV-39800000-44.00(ორმოცდაოთხი)ლარი

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო მის: ქ, გორი, სტალის №16	შპს ,,როშიკა 2002“ ს/კ:417892873 მის: ქ.გორი, ჭავჭავაძის# 85 ბანკი: სს ,, თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE02TB7708636020100004 ტელ:599077361,599617173
ს/კ:418471031 ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბ/ნ: TRESGE22 საზაზინო ანგარიში: 3504100000	
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ილურიძე	დირექტორი: გიორგი ბაირამოვი

Zurab Iluridze
Digitally signed by Zurab Iluridze
Date: 2022.04.05 11:34:37 +04'00'